



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 18.816.1189
2 / ოქტომბერი / 2018 წ.

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში თბილისის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

ღია მმართველობის პარტნიორობის საპილოტე პროგრამის ფარგლებში არსებული ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის პრიორიტეტს წარმოადგენს მოქალაქეთა ინფორმირებულობის, მათი ჩართულობის, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველმყოფი ერთიანი სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს ინსტიტუციურ, ელექტრონულ, პროცედურულ-სამართლებრივ ბლოკებს. ზემოაღნიშნული სიახლეების, დასახული მიზნების და დაგეგმილი პროექტების სრულფასოვნად და შეუფერხებლად განხორციელებისათვის, „ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში სამოქმედო გეგმის მომზადების, მისი შესრულების ხელშეწყობისა და მონიტორინგის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 6 სექტემბრის №1-473 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, „ღია მმართველობის პარტნიორობასთან (OGP) თანამშრომლობის ფარგლებში სამოქმედო გეგმის მომზადების, მისი შესრულების ხელშეწყობისა და მონიტორინგის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 6 სექტემბრის №1-473 ბრძანების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.დამტკიცდეს „ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში თბილისის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა“, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებსა და




ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებს: ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეებს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე





ღია მმართველობის პარტნიორობის(OGP)
თბილისის 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმა

შინაარსი

შესავალი	4
სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი	4
ვალდებულება I:	6
ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმი - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი (“SMART MAP”)	6
ვადლებულების აღწერა	6
1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები.....	6
2. საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალის ფუნქციონალის აღწერა ...	7
3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის	9
4. დანართი №1	10
ვალდებულება II:.....	12
ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა	12
ვადლებულების აღწერა	13
1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები.....	13
2. ვალდებულების შინაარსის აღწერა.....	13
3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის	14
4. დანართი №2	14
ვალდებულება III:	16
სერვისების ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობით გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა	16
ვადლებულების აღწერა	16
1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები	16
2. ვალდებულების შინაარსის აღწერა.....	16
3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის	17
4. დანართი №3	17
ვალდებულება IV:	19

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის სტრატეგია.....	19
ვალდებულების აღწერა.....	20
1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები.....	20
2. ვალდებულების შინაარსის აღწერა.....	21
3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის	21
4. დანართი N 4.....	21
ვალდებულება N5	23
თბილისის მერიაში გამჭვირვალობის ხარისხის განვითარება ელექტრონული მექანიზმების მეშვეობით.....	23
ვალდებულების აღწერა.....	23
1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები.....	23
2. ვალდებულების შინაარსის აღწერა.....	23
3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის	25
4. დანართი №5	25
სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთეულები	27

შესავალი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, თბილისის ღია მმართველობის მეორე, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად შემუშავებითა და მისი შესრულების ვალდებულების აღებით, განაგრძობს მუშაობას ღია მმართველობის პრინციპების რეალურ და საზოგადოებისთვის ხელშესახებ მექანიზმებად ქცევის მიზნით. აღნიშნული, თბილისის მთავრობისთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს მმართველობის ხარისხის, ეფექტურობისა და დემოკრატიულობის ამაღლების უმთავრეს პრიორიტეტს, რაც პირდაპირ უნდა აისახოს თბილისის მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია/თბილისის მერია) მიერ 2017 წლის სამოქმედო გეგმის მეორე ვალდებულების, „პეტიცია თბილისის მერს“ შესაბამისად შექმნა და წარმატებით დაინერგა პლათფორმა „შენი იდეა თბილისის მერს“ (იხ. idea.tbilisi.gov.ge). იმ ვალდებულებებმა კი, რომელთა შესრულებაც ვერ მოხერხდა 2017 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, გადმოინაცვლეს წინამდებარე სამოქმედო გეგმაში. ამრიგად, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის პირველი სამი ვალდებულება („Smart Map“-ი, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლათფორმა და ელექტრონული სერვისების პორტალი) წარმოადგენს თბილისის ღია მმართველობის 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შეუსრულებელი ვალდებულებების გარკვეულწილად სახეცვლილ ვერსიას.

რაც შეეხება დანარჩენ ორ ახალ ვალდებულებას, ისინი შემუშავებული იყო სრულად და დამოუკიდებლად სამოქალაქო საზოგადოების მიერ. ამ ორ ახალ ვალდებულებას წარმოადგენს თბილისის მერიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერი მმართველობის სტრატეგიის შემუშავება OECD-ს 2016 წლის საქართველოს მიმართ რეკომენდაციის საფუძველზე და მერიის ვებ-გვერდის ცვლილებების პაკეტი, რომელიც, სხვებს შორის, ემსახურება საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხის ამაღლებასა და მოიცავს მერიის ღია მონაცემების ბაზის შექმნას.

მთლიანობაში, სამოქმედო გეგმის მიზანია ადგილობრივი კონტექსტისთვის ყველაზე რელევანტური ისეთი საშუალებების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მერიასა და საზოგადოებას შორის სათანადო დიალოგის წარმართვის ხელშეწყობას, მერიის გამჭვირვალობის ამაღლებით, სერვისების გაუმჯობესებითა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებით.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

განახლებული სახით ჩამოყალიბდა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამოქმედო გეგმის მომზადების, მისი შესრულების ხელშეწყობისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი. მის შემადგენლობაში შედის სულ 24 წევრი, საიდანაც მხოლოდ 8 წევრია თბილისის მერიისა და მისი დაქვემდებარებული იურიდიული პირების წარმომადგენელი, 4 წევრი სხვა საჯარო დაწესებულებებიდან, 12 წევრი წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებასა და მულტილატერალურ ორგანიზაციებს. სამუშაო ჯგუფის წევრობის შეთავაზება მიმდინარეობდა საჯაროდ, პირდაპირი (მერია უშუალოდ უზრუნველყოფდა წერილობით შეთავაზებას წევრობის სავარაუდო კანდიდატებს) და გაშუალებული გზით (სამუშაო ჯგუფის წევრები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები დამოუკიდებლად სთავაზობდნენ მესამე პირებს სამუშაო ჯგუფის წევრობას შემდეგ კი წარადგენდნენ მათი წევრობის კანდიდატურას სამუშაო ჯგუფში). წევრობის მსურველისთვის უარყოფითი პასუხის გაცემის არცერთი შემთხვევა დაფიქსირებულია.

სამუშაო ჯგუფის საქმიანობის წესში შევიდა ცვლილება, რის თანახმადაც შემოღებული იქნა თანათავმჯდომარეობის პრინციპი. სამოქალაქო საზოგადოებამ აირჩია თანათავმჯდომარე, რის შედეგადაც სამუშაო ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში ღებულობს გადაწყვეტილებას როცა მას ერთდროულად მხარს უჭერს თბილისის მერიის წარმომადგენლობა და ამავდროულად დამოუკიდებლად სამოქალაქო საზოგადოება.

2018-2020 წლების ღია მმართველობის თბილისის სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის გაიმართა თბილისის ღია მმართველობის სამუშაო ჯგუფის 6 სხდომა, ასევე 12 საჯარო კონსულტაცია თბილისის მოსახლეობასთან და ათეულობით სამუშაო შეხვედრა თბილისის მერიის სტრუქტურებს შორის და არა მარტო. სამუშაო ჯგუფის სხდომებსა და საჯარო კონსულტაციებზე მოწვეული იყვნენ განსახილველი საკითხის შესაბამისი სფეროთი დაინტერესებული ადამიანები, სამოქალაქო საზოგადოება და სფეროს სპეციალისტები. ამ შემთხვევაშიც, მოსახლეობისა და სპეციალისტების პროცესში ჩართვისთვის სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა მსგავსი შეთავაზებები გაეკეთებინა როგორც თბილისის მერიას, ისე სამოქალაქო საზოგადოებას. ასევე, ყოველი ღონისძიების შესახებ ანონს და ინფორმაცია ქვეყნდებოდა წინასწარ და საჯაროდ მერიის შესაბამისი ვებ-გვერდის (ogp.tbilisi.gov.ge) გამოყენებით.

სამუშაო პროცესის შედეგად 2018-2020 წლების ღია მმართველობის თბილისის სამოქმედო გეგმის პირველი სამი ვალდებულება („Smart Map“-ი, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმა და ელექტრონული სერვისების პორტალი) წარმოადგენს თბილისის ღია მმართველობის 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შეუსრულებელი ვალდებულებების გარკვეულწილად სახეცვლილ ვერსიას. რაც შეეხება დანარჩენ ორ ახალ ვალდებულებას, ისინი შემუშავებული იყო სრულად და დამოუკიდებლად სამოქალაქო საზოგადოების მიერ. კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის სტრატეგია შეიმუშავა USAID/GGI-ის მიერ და ის სამოქმედო გეგმაში შევიდა ის სამოქმედო გეგმაში შევიდა წარმოდგენილი ავთენტური ფორმით. ანალოგიურად, IDFI-ს მიერ შემუშავებული

და წარმოდგენილი ვალდებულება პირდაპირ აისახა სამოქმედო გეგმაში მებუთე ვალდებულების სახით.

ვალდებულება I:

ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმი - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი (“SMART MAP”)

ვალდებულების აღწერა

1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები

საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი (Smart map) ელ-პორტალის შექმნა ეფუძნება რიგ მასშტაბურ და ასევე სპეციფიკურ გამოწვევებს, რომლითაც ხასიათდება ადგილობრივი კონტექსტი თბილისში.

მაგალითად, მერიაში წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება სამშენებლო და მწვანე საფარის (ხის ჭრის, გამწვანების) საკითხებს. მართალია, კანონმდებლობა ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე დაინტერესებული მხარეების პროცესში ჩართვის გარკვეულ შესაძლებლობას, მაგრამ ის არ შეიცავს რაიმე ეფექტურ მექანიზმს, რაც ფართო საზოგადოებამდე პროაქტიულად მიიტანდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაწყებული პროცესისა და აღნიშნული უფლების შესახებ ინფორმაციას სამშენებლო-სანებართვო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. მართლაც, ფაქტობრივად აღნიშნული უფლების გამოყენებას მოსახლეობის ძალიან მცირე პროცენტი ახერხებს, მაშინ, როდესაც თავად საკითხები მაღალი საჯარო ინტერესით გამოირჩევა და უმეტეს შემთხვევაში, პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდეს მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის ინტერესზე.

აღნიშნულმა და სხვა მსგავსმა მაგალითებმა მერიის წინაშე დააყენა საჭიროება, მოქალაქეებისთვის შეიქმნას მექანიზმი, რომელთა საშუალებითაც ისინი მიიღებენ ინფორმაციას მათი საცხოვრებელი გარემოს შესახებ და ზოგადად ქალაქის შესახებ, ნებისმიერ ეტაპზე სამშენებლო, (მწვანე ნარგავების) ხის ჭრისა და თბილისში განსახორციელებელი ან მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. მომხმარებელთა ინფორმირებულობის კუთხით მნიშვნელოვანია ასევე განთავსებული ინფორმაციის დამუშავებისა და მარტივი გამოყენების მექანიზმების დანერგვა, რომლებიც მნიშვნელოვანი წინაპირობა შეიძლება გახდეს მოქალაქეთა ჩართულობის ზრდის თვალსაზრისით.

როგორც აღინიშნა, გამოიკვეთა მოქალაქეებთან ეფექტური დიალოგის სისტემის შექმნისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის, ასევე, ქალაქის პრობლემებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირების სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება.

თბილისის მერიას, ასევე, სჭირდება Smart map ელ-პორტალის სხვადასხვა ფუნქციონალების მოქცევა ერთიან სისტემაში, რაც მას საშუალებას მისცემს გაიგოს მოსახლეობის განწყობა, მიიღოს შეფასება, მოახდინოს არსებული საჭიროებების თუ პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისად დაგეგმოს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი ქმედებები.

2. საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალის ფუნქციონალის აღწერა

საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი (Smart map) ელ-პორტალი შეიცავს და საფუძვლად იყენებს თბილისის ინტერაქტიულ რუკას. ის ბაზისად იყენებს, ამრავალფეროვნებს და ფუნქციურად რადიკალურად ცვლის თბილისის ინტერაქტიული რუკის მონაცემებს, შესაძლებლობებს და გამოყენების დანიშნულებას. კერძოდ, რუკაზე ქმნის არა მარტო დამატებით დამფარავ ფენებს, არამედ მას უკავშირებს მთელ რიგ ფუნქციონალებს, რაც სტანდარტულ ელ-რუკას გარდაქმნის ე.წ. „ჭკვიან რუკად“, სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილურ მექანიზმად - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალ „SMART MAP“-ად. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ფუნქციონალი, რომელიც აღწერილია ქვემოთ და ექცევა „Smart Map“ პორტალის ფარგლებში, წარმოადგენს ერთიანი პორტალის შემადგენელ ნაწილს და არ არის დაფანტული სხვადასხვა პორტალებსა და ელექტრონულ საშუალებებში.

შეიქმნება და განვითარდება შემდეგი დამფარავი ფენები:

1. ჩამოყალიბდება დამფარავი ფენა, რომელიც რუკაზე გვიჩვენებს თბილისის მასშტაბით სამშენებლო ობიექტების სამშენებლო სტატუსს ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერ დაწყებულ წარმოებას თბილისის მერიის თუ მისი დაქვემდებარებული სტრუქტურებისადმი პირველივე მიმართვის მომენტიდან. პორტალის აღნიშნული ფენა დაუკავშირდება არქიტექტურის სამსახურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ბაზას და გამოაჩენს ინტერაქტიულად განახლებად ძირითად მონაცემებს თბილისში მშენებლობასთან დაკავშირებით. ამრიგად სამშენებლო ინფორმაცია რუკის საშუალებით მარტივად მოპოვებად და ინტერაქტიულად განახლებად საშუალებად გარდაიქმნება, რომელიც შესაძლებელს გახდის მომხმარებლის მიერ მარტივად, მხოლოდ რუკაზე მონიშვნის საფუძველზე ინფორმაციის ავტომატურ გამოწერას;

2. ანალოგიური პრინციპით მეორე დამფარავი ფენა მოგვცემს მწვანე ნარგავების (ხის ჭრის და სხვა) ჭრის/გადანერგვის სანებართვო ინფორმაციაზე წვდომას;

3. მესამე დამფარავი ფენა კი წარმოაჩენს ინფორმაციას თბილისის მერიისა და მისი დაქვემდებარებული სუბიექტების მიერ საწარმოებელი თუ წარმოებული

ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია აიტვირთება ამისთვის შექმნილ სპეციალურ “Smart Map”-ის პორტალთან დაკავშირებულ ვებ-გვერდზე და მოსახლეობას მისცემს შესაძლებლობას ინფორმაცია მიიღოს როგორც ვებ-გვერდის ისე “Smart Map”-ზე არსებული რუკის შესაბამისი დამფარავი ფენის საშუალებით. რუკა დამფარავ ფენებზე შესაბამისად შეიცავს ახალი ფუნქციებისა და ფენების შესაბამის გამოსახულებებს, სამუშაო, სახაზავ თუ სხვა ხელსაწყოებს.

პორტალის განვითარების შედეგად შეიქმნება შემდეგი ფუნქციონალები:

ა) “Smart Map” პორტალის რუკაზე გარკვეული ტერიტორიის მხოლოდ **მონიშვნის საფუძველზე ინფორმაციის ინტერაქტიული გამოწერა** წარმოადგენს პირველ იმ მნიშვნელოვან ფუნქციონალს, რომელიც კომბინირებულად ან ალტერნატიულად თემატური და ტერიტორიული ნიშნით ინფორმაციის მოძიებისა და გამოწერის შესაძლებლობას იძლევა პორტალში. მაგალითად, მომხმარებელს შეეძლება რუკაზე მონიშნოს მისი საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ან სხვა ნებისმიერი ტერიტორია (ტერიტორიული ნიშნით მონიშვნა) და ამავე დროს ამ ტერიტორიის ფარგლებში მისთვის საინტერესო ინფორმაციად მიუთითოს დავუშვათ სამშენებლო საკითხებისა და მწვანე საფარის შესახებ ინფორმაცია. შედეგად, მომხმარებელი არა მხოლოდ ერთჯერადად მოძებნის მსგავს ინფორმაციას, არამედ გამოიწერს ამ ტიპის ინფორმაციას და მის მიერ მონიშნული ტერიტორიის ფარგლებში ნებისმიერი სიახლის შესახებ ავტომატურად მოიპოვებს განახლებულ ინფორმაციას. პლათფორმა მომხმარებელს ასევე, შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერი ნახსენები **მასალა დააჯგუფოს სხვადასხვა კომბინაციით** მასალის თემატიკის, დროის პერიოდის, ტერიტორიის თუ სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით (მაგ: რამდენი სამშენებლო ან ხის ჭრის ნებართვა გაიცა მოცემულ ტერიტორიაზე, მოცემულ პერიოდში, შედარება სხვა დროის პერიოდთან ან/და ტერიტორიასთან). ყველა მოსახლეს შესაძლებლობა ექნება შექმნას ინდივიდუალური პროფილი პორტალში საკუთარი აქტივობების უკეთ მართვის მიზნით.

ბ) **Fix-თბილისის** ფუნქციონალის ფარგლებში შესაძლებელი იქნება შესაბამისი (მობილური) აპლიკაციის გამოყენებით თბილისის მასშტაბით გარკვეული პრობლემების დაფიქსირება, რომლებიც გამოჩნდება “Smart map” პორტალში. თბილისის მერიას ექნება დაფიქსირებულ პრობლემაზე შესაბამის გაწერილ ვადებში და ასევე გაწერილი პროცედურების შესაბამისად რეაგირების ვალდებულება. ამ სამოქმედო გეგმის ფარგლებში და პირველ ეტაპზე, იმ საკითხების ჩამონათვალი, რაც დაექვემდებარება Fix-თბილისის აპლიკაციის ფარგლებში რეაგირებას იქნება შემდეგი სერვისები: გარე განათებასთან დაკავშირებული ყველა სერვისი, ფიტოსანიტარულ ღონისძიებებთან და სხვა-ფორმირებასთან დაკავშირებული ყველა სერვისი, საპარკე სკამების განთავსება, დასუფთავების თბილისის მერიის უფლებამოსილებაში არსებული ყველა სერვისი. მოსახლეობა მობილურის აპლიკაციის გამოყენებით შეძლებს დააფიქსიროს ქალაქში ზემოთ ჩამოთვლილ თემებთან ასოცირებული პრობლემები, გადაიღოს ფოტო, მიუთითოს ლოკაცია და ატვირთოს მასალა შემდგომი რეაგირებისთვის. მოსახლეობის

მიერ მობილურის აპლიკაციის გამოყენებით დაფიქსირებული მონიშვნები გამოჩნდება რუკაზე და ჩაირთვება ვადის ათვლის რეჟიმი თბილისის მერიის მხრიდან რეაგირებისთვის. მოქალაქეთა მონიშვნებისა და ატვირთული ფოტომასალის საპასუხოდ შესაბამისი წესის მიხედვით მერია ან/და მისი დაქვემდებარებული სტრუქტურები იხილავენ დაფიქსირებულ პრობლემას და დადგენილ ვადაში უზრუნველყოფენ შესაბამის რეაგირებას. რეაგირების შინაარსი და შედეგი ისევე აისახება საჯაროდ, როგორც თავად მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული პრობლემა. შესაბამისად, ნებისმიერი შედეგი, იქნება ეს პრობლემის გადაჭრის შესახებ ინფორმაცია (დადასტურებული ფოტომასალით) თუ სხვა ტიპის პასუხი შესაბამისი წესის მიხედვით გასაჯაროვდება.

გ) შეიქმნება დამოუკიდებელი მოსახლეობასთან საკომუნიკაციო საშუალება თბილისის ფორუმი, რომელიც ტერიტორიულად თუ თემატურად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას დაკავშირებადი იქნება საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალთან („Smart map“ - თან) და ღია მმართველობის ფარგლებში შექმნილ სხვა საშუალებებთან. მოსახლეობა თბილისის ფორუმის საშუალებით შეძლებს ნებისმიერ მისთვის მნიშვნელოვან თემაზე მსჯელობის წარმართვას. როგორც თბილისის ფორუმს, ისე ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ნებისმიერ საშუალებას ექნება სხვადასხვა სოციალური ქსელების გამოყენებით გაზიარების ფუნქციონალი.

მოხდება სამართლებრივი საფუძვლისა და პორტალის ფუნქციონირების მექანიზმების შემუშავება, დადგინდება smart map-ზე განახლებული ინფორმაციის მიზმის, მოქალაქეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შენახვისა და სხვა პირობები. დადგინდება საჯარო მოხელეთა მხრიდან სათანადო რეაგირების უზრუნველყოფი პროცედურები და ვადები. განისაზღვრება მერიის თანამშრომელთა ვალდებულებები.

3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის

ა) არსებითად გაიზრდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა იმ მონაცემზე, რომელიც გახდება საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალის ნაწილი. ეს ინფორმაცია ავტომატურად, ინტერაქტიულ ფორმატში ხელმისაწვდომი იქნება მოქალაქეებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ, რა ხდება მათ საცხოვრებელ გარემოში. შეიქმნება მათთვის მმართველობის პროცესში მონაწილეობისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი.

ბ) შეიქმნება შედეგზე ორიენტირებული, ანგარიშვალდებული ჩართულობის სისტემის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. თბილისის მერიას ექნება ვალდებულება დროული რეაგირება მოახდინოს პორტალში დაფიქსირებულ ქალაქის პრობლემებზე და ასევე მერიას შესაძლებლობა მიეცემა უკედ გაანალიზოს მოსახლეობის საჭიროებები. ამით გაუმჯობესდება მერიის მომსახურება და შესაბამისად, მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი გარემო პირობები.

გ) შეიქმნება სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაფუძნებას მოქალაქეთა ჩართულობასა და მათ რეალურ საჭიროებებზე.

4. დანართი №1

განხორციელებისვადა: 2020 წ.

ვალდებულება 1: ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმი - საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის სპორტალი "smart map"	
შემსრულებელი დაწესებულება	<p>ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“, ასევე,</p> <p>თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია, იურიდიული საქალაქო სამსახური, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, ინფრასტრუქტურული განვითარების საქალაქო სამსახური, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური. შპს „თბილისერვის ჯგუფი“.</p>
არსებული მდგომარეობის აღწერა	<p>თბილისის მერიაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის საკითხები ეფუძნება კანონის მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც, საზოგადოების ფართო ჯგუფების ინფორმირებულობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად საუკეთესო საშუალებას ხშირად ვერ გვთავაზობენ.</p> <p>მოქალაქეები პრობლემებს აფიქსირებენ ცხელი ხაზისა და განცხადებების საშუალებით. არ არსებობს ამ განცხადებების შინაარსობრივი ერთიანი ანალიზისა და მის შედეგებზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები.</p> <p>მოქალაქეთა ჩართულობა მმართველობის პროცესში ხდება არასისტემურად და არამასშტაბურად.</p>
მთავარი მიზანი	<p>- არსებითად გაიზარდოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა იმ მონაცემზე, რომელიც გახდება საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის სპორტალის ნაწილი. ეს ინფორმაცია ავტომატურად, ინტერაქტიულ ფორმატში ხელმისაწვდომი გახდება მოქალაქეებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ, რა ხდება მათ საცხოვრებელ გარემოში. შეიქმნას მათთვის მმართველობის პროცესში მონაწილეობისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი.</p> <p>- შეიქმნას შედეგზე ორიენტირებული, ანგარიშვალდებული ჩართულობის სისტემის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. თბილისის მერიას შესაძლებლობა მიეცეს მეტად დროული რეაგირება მოახდინოს სპორტალში დაფიქსირებულ ქალაქის პრობლემებზე და უკედ გაანალიზოს მოსახლეობის საჭიროებები. გაუმჯობესდეს თბილისის მერიის მომსახურება და შესაბამისად, მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი გარემო პირობები.</p> <p>- შეიქმნას სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მერიის მიერ</p>

	მიღებული გადაწყვეტილებების მეტად დაფუძნებას მოქალაქეთა ჩართულობასა და მათ რეალურ საჭიროებებზე.			
OGP პრინციპები	გამჭვირვალ ობა, წვდომა ინფორმაციაზე	ანგა რიშვალდებ ულება	სამოქ ალაქოჩართუ ლობა	ტექნ ოლოგია და ინოვაცია ლიაობისა და ანგარიშვალდ ებულებისთვ ის
	✓	✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები	დაწყებისთარიღი:		დასრულებისთარიღი:	
მრავალფუნქციური ვებ-პორტალის შექმნისთვის და, ასევე, არსებული მუნიციპალური ინტერაქტიული რუკის განახლებისა და მოდერნიზაციისთვის ზუსტი ტექნიკური დავალების და ვადების შეთანხმება	01.01.2019		31.03.2019	
- პორტალისტექნიკური და შინაარსობრივი ნაწილის შექმნა	01.02.2019		30.04.2019	
- მოქალაქის პირადი გვერდის შექმნა და ინტეგრირება რუკასთან	01.03.2019		31.03.2019	
- ინტერაქტიულ რუკაზე განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებზე მოქალაქის მიერ ინფორმაციის გამოწერის ფუნქცია	01.04.2019		31.04.2019	
- პორტალის პილოტირება და დანერგვა	01.05.2019		31.12.2019	
- სისტემის მხარდამჭერი სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება	01.05.2019		30.06.2019	

<p>- ტრენინგის ჩატარება შესაბამის თანამშრომლებთან რუკის ფუნქციონირებისა და მიღებული ინფორმაციის დამუშავების მიზნით</p>	<p>01.09.2019</p>	<p>30.10.2019</p>
<p>პორტალისა და OGP-ს ფარგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მერიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.</p>	<p>30.10.2019</p>	<p>30.03.2020</p>
<p>ინდიკატორი</p>	<p>-შექმნილია და დანერგილია Smart map ელ-პორტალი, რომელიც შეიცავს აღწერილობაში ნახსენებ ახალ ან/და ინფორმაციული ხელმისაწვდომობის კუთხით გაუმჯობესებულ დამფარავ ზონებს. განხორციელებულია მხარდამჭერი მოქმედებები, ტრენინგები.</p> <p>-Smart map ელ-პორტალი სრულად მოიცავს აღწერილობით ნაწილში ნახსენებ ფუნქციონალებს.</p> <p>-აღწერილობითი ნაწილის შესაბამისად გაწერილია პორტალის ფუნქციონირების მხარდამჭერი რეგულაციები, რომელიც აუცილებლად გაწერს პროცედურებს, ინსტიტუციონალური მხარდაჭერის ნაწილს და მოხელეთა პასუხისმგებლობის/პასუხისგების ნაწილს.</p> <p>ჩართულობის მექანიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლებისთვის თბილისის მერიის დია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის შესაბამისად წარმოებულია აქტიური საინფორმაციო პოლიტიკა ქალაქის მასშტაბით (პორტალის შესახებ ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის მეშვეობით გავრცელება).</p>	
<p>რისკები და ვარაუდები</p>	<p>შესაძლოა დაფიქსირდეს პირველადი გამოსწორებადი ხარვეზები ახლად დანერგილი სისტემის მუშაობაში.</p>	

ვალდებულება II:

ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა

ვადლებულების აღწერა

1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები

არსებული მდგომარეობით მოქალაქეებისთვის პრაქტიკულად არ არის ხელმისაწვდომი იმ დოკუმენტის ფორმირების პროცესი, რომელიც ყოველი მომდევნო წლის განმავლობაში განსაზღვრავს თბილისში განსახორციელებელი მმართველობითი საქმიანობის ძირითად შინაარსს. გარდა ამისა, ბიუჯეტის განხილვის პროცესში მოქალაქეები საინფორმაციო საშუალებებით ეცნობიან სხვადასხვა მხარეების ურთიერთსაპირისპირო შეფასებებს საკმაოდ მოცულობით დოკუმენტზე და არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ მარტივად, დროის დიდი დანახარჯის გარეშე გადაამოწმონ ფაქტობრივი მდგომარეობა.

ამრიგად, მონაწილეობითი ბიუჯეტირების სისტემის დანერგვის საჭიროება დგება რამდენადაც სასურველია ბიუჯეტის ფორმირებისას მოქალაქეებისთვის მთელი ამ პროცესის შესახებ ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი მექანიზმის შექმნა.

2. ვადლებულების შინაარსის აღწერა

შეიქმნება დანარჩენ აპლიკაციებთან ინტეგრირებული ელექტრონული პლატფორმა, რომელიც მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს, ვიზუალურად წარმოდგენილ თემატურ ბიუჯეტში თითოეულ თემატურ პრიორიტეტსმიანიჭონ გარკვეული შეფასება და ამით მარტივად გადააჯგუფონ პრიორიტეტები სხვადასხვა თანმიმდევრობით. მოქალაქეებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ დაინახონ რომელი პრიორიტეტი რა ქვესაკითხებს მოიცავს და ასევე ექნებათ წვდომა ინფორმაციაზე, თუ როგორ იყო გადანაწილებული წინა წლების ბიუჯეტი, ან როგორ გადანაწილებას დაუჭირა მოსახლეობამ მხარი, როგორი იყო პრიორიტეტების გადანაწილება თბილისის ან ცალკეული გამგეობების თუ უბნების მასშტაბით. პროგრამა ცალკეული პირების მიერ მონიშნული პრიორიტეტებიდან ავტომატურად გამოიყვანს საშუალო შეწონილ შედეგს. ეს შედეგი განსახილველად სავალდებულო იქნება ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების ნებისმიერ ეტაპზე. თბილისის ფორუმის საშუალებით იარსებებს თბილისის ფორუმში კომენტარების დატოვების და უშუალოდ მერიისთვის მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. ამასთან, შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის სტატისტიკის (ბიუჯეტის, წლის, ტერიტორიის, ხმის მიმცემთა მახასიათებლების მიხედვით და ა.შ.) ინტერაქტიული წარმოება. ხმის მიცემის პროცესის პარალელურად მერიის სამსახურები და გამგეობები უზრუნველყოფენ მოსახლეობასთან შეხვედრებსა და ხმის მიცემის პროცესის ხელშეწყობას.

გაიწერება ვადები და პროცედურები, თუ რა დროიდან იწყება პლატფორმის გახსნა ხმის მიცემისთვის, როდის მთავრდება, რა ეტაპზე მოხდება ბიუჯეტის შედგენისა და კორექტირების სახელისუფლებო პროცედურების ფარგლებში საზოგადოების მიერ შექმნილი შეწონილი ბიუჯეტის განხილვა და მასთან საბოლოოდ დამტკიცებული

ბიუჯეტის შედარების შესახებ მოკლე განმარტების გამოქვეყნება. ასევე, გაიწერება მოთხოვნები საზოგადოებისთვის აქტიური გაცნობის თუ გამოკითხვის ფორმატზე, გათვალისწინებული იქნება შშმ-პირების, და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობა გამოკითხვაში.

3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის

არსებითად ამალდება წვდომა ბიუჯეტირების პროცესზე და შეიქმნება ხელისუფლებასთან დიალოგის პრინციპზე დაფუძნებული ჩართულობის მექანიზმი, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული ბიუჯეტის შექმნის პოტენციალს.

4. დანართი №2

განხორციელების ვადა: 2020 წ.

ვალდებულება3: ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა				
შემსრულებელი დაწესებულება	მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“, მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური, რაიონული გამგეობები. თბილისის მერიის ადმინისტრაცია.			
არსებული მდგომარეობის აღწერა	არსებული მდგომარეობით მერიის ბიუჯეტი იგეგმება წინა წლის ბიუჯეტისა და საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების საფუძველზე განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ჩატარდეს დამატებითი კვლევებიც. არ არსებობს ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის რაიმე ეფექტური მექანიზმი ან გაწერილი პროცედურა.			
მთავარი მიზანი	ბიუჯეტის დაგეგმვის მეტად მიახლოება მოქალაქეების ყოველწლიურად განახლებად საჭიროებებთან. ამ კუთხით მათი მმართველობითი ჩართულობის ამალდების ელექტრონული და პროცედურული მექანიზმების შექმნა. თბილისის ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებასთან მეტად ანგარიშვალდებული თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა.			
OGP პრინციპები	გამჭვირვალ ობა, წვდომა ინფორმაციაზე	ანგა რიშვალდებ ულება	სამოქ ალაქო ჩართულობა	ტექნ ოლოგია და ინოვაცია დიაობისა და ანგარიშვალდ ებულებისთვ ის
		✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები	დაწყების თარიღი:		დასრულების თარიღი:	
ზუსტი ტექნიკური დავალების ჩამოყალიბება თუ რა ფუნქციონალებით უნდა იყოს დატვირთული ბიუჯეტირების ვებ-აპლიკაცია	15.10. 2018		30.11.2018	

აპლიკაციის შინაარსობრივი და პროგრამული უზრუნველყოფის განხორციელება	01.12.2018	28.02. 2019
სისტემის მხარდამჭერი სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება.	01.03.2019	30.06.2019
სისტემის ტესტირება, გაუმჯობესება და დანერგვა	01.03.2019	30.10. 2019
მერიის თანამშრომლების დატრენინგება.	01.09.2019	30.10. 2019
პორტალისა და OGP-ს ფარგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მერიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.	30.10. 2019	28.02.2020
სისტემის ამოქმედება, მოსახლეობის ჩართვა მონაწილეობით ბიუჯეტირებაში 2020 წლის ბიუჯეტის შედგენის მიზნით.	01.11.2019	28.02.2020
ინდიკატორი	<p>-შექმნილია და დანერგილია ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმი. განხორციელებულია მხარდამჭერი მოქმედებები, ტრენინგები.</p> <p>-მექანიზმი სრულად მოიცავს აღწერილობით ნაწილში ნახსენებ ფუნქციონალებს.</p> <p>-აღწერილობითი ნაწილის შესაბამისად სამართლებრივად გაწერილია ფუნქციონირების მხარდამჭერი რეგულაციები.</p> <p>-ჩართულობის მექანიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლებისთვის თბილისის მერიის ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის შესაბამისადწარმოებულია აქტიური საინფორმაციო პოლიტიკა ქალაქის მასშტაბით (საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ეფექტური ტექნოლოგიის გამოყენებით).</p>	
რისკები და ვარაუდები	შესაძლოა დაფიქსირდეს პირველადი გამოსწორებადი ხარვეზები ახლად დანერგილი სისტემის მუშაობაში.	

ვალდებულება III:

სერვისების ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობით მათი გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა

ვალდებულების აღწერა

1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები

თბილისის მერიის სისტემაში არსებულ სერვისებთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციებისას გამოიკვეთა თბილისის მერიაში არსებული სერვისების შესახებ ცნობადობის სიმწირე მოსახლეობაში, სერვისების მიწოდებისას ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრებისკენ სვლის საჭიროება და რიგი მნიშვნელოვანი შეთავაზებებისა, რომლებიც სწორედ სერვისების გაუმჯობესებას ემსახურება (იხ. ღია მმართველობის თბილისის სამუშაო ჯგუფის ოქმი N3 და საჯარო კონსულტაციების ოქმები, 31.07.18, 01.08.18, 06.08.18 და 07.08.18-ის ოქმები).

ბუნებრივია მერიის სერვისების არსებითად დაბალი ცნობადობა საზოგადოებაში თავისთავად ხელს უშლის ამ სერვისებით სათანადო სარგებლობას. თუმცა გარდა ამისა მოსახლეობა როგორც სერვისების მიმღები არ არის ჩართული თბილისის მერიისთვის სათანადო უკუკავშირის მიწოდების პროცესში, რამდენადაც ასეთი უკუკავშირის მექანიზმი არ არსებობს.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, საზოგადოებისთვის მერიის სერვისების ხელმისაწვდომობის ამაღლება, ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა და სერვისების მუდმივად გაუმჯობესებაზე დაფუძნებული სისტემის შემოღება, რაც პირველ რიგში გამოიხატება სერვისების მომხმარებელი მოსახლეობისგან სათანადო უკუკავშირის მიღების საშუალებების შექმნაში.

2. ვალდებულების შინაარსის აღწერა

შეიქმნება ინტეგრირებული ვებ-აპლიკაცია, რომლითაც ონლაინ, სახლიდან გაუსვლელად მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახდება მერიის სისტემის ფარგლებში არსებული ყველაზე მოთხოვნადი ურთიერთდაკავშირებული სერვისები, ამ სერვისების ფარგლებში ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრებისკენ სვლის მიზნით.

პირველ ეტაპზე, ამ სამოქმედო გეგმის ფარგლებში არქიტექტურისა და ურბანული განვითარების მიმართულებების გარდა სერვისების ელექტრონიზაციას დაეკვემდებარება

შემდეგი სამსახურების სერვისები: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ყველა სერვისი, ასევე ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ყველა ის ფუნქცია, რომელიც თავისი შინაარსით გამოტანადია მოქალაქეების მხრიდან სერვისის სახით მოხმარებისთვის (ამ უკანასკნელის ზუსტი ჩამონათვალის დასახელებები დანართი N3-ით გათვალისწინებულ, ამ ვალდებულების შესრულების პირველივე ეტაპზე განისაზღვრება). აღნიშნული მომსახურების ტექნიკურად გამარტივების გარდა, ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრების მიმართულებით, საზოგადოებისთვის მერიის სისტემაში კონკრეტულ სფეროებში არსებულ მომსახურებებზე სრული ინფორმაციის მიღებისა და ხელმისაწვდომობის არსებითი გაუმჯობესების თვალსაზრისით. ვებ-აპლიკაცია საშუალებას მისცემს მოქალაქეს შექმნას თავისი ონლაინ ანგარიში, მუნიციპალიტეტში მოუსვლელოდ მიიღოს სერვისები და მართოს თავისი ინფორმაცია. წვდომა შესაძლებელი იქნება მობილურის აპლიკაციითაც.

ფორმატი გაითვალისწინებს სერვისებთან დაკავშირებით მოქალაქეების მიერ ინფორმაციის, უკუკავშირის დაფიქსირების შესაძლებლობას. ეს ინფორმაცია თბილისის მერიის მხრიდან დაექვემდებარება პერიოდულ ანალიზს, სერვისის მიმწოდებლები გააანალიზებენ და შეაჯამებენ მიღებულ უკუკავშირსა და ელექტრონული სერვისების სტატისტიკურ მონაცემებს. აღნიშნული ანალიზი გამოქვეყნება საჯაროდ და თბილისის მერიის მიერ გამოყენებული იქნება სერვისების გაუმჯობესებისთვის. სამართლებრივად გაიწერება პროცედურები აღნიშნული მექანიზმის მხარდასაჭერად.

3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის

სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ცნობადობის არსებითი ზრდა, რაც ხელს შეუწყობს სერვისებით მარტივ სარგებლობას და გარკვეულწილად გააუმჯობესებს მოქალაქის ცხოვრების დონეს. ონლაინ-სერვისების დანერგვა და მეტი ინფორმირებულობა ასევე შექმნის დამატებით საფუძველს უფრო ეფექტური გაუმჯობესებების განსახორციელებლად, როგორც გაზრდილი ცნობადობის ისე სერვისებზე საზოგადოების გაზრდილი შემხებლობისა და ეფექტური უკუკავშირის შესაძლებლობის გამო.

4. დანართი №3

განხორციელების ვადა: 2020 წ.

ვალდებულება: სერვისების სამოქალაქო კონტროლისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმების დანერგვა	
შემსრულებელი დაწესებულება	ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო

	<p>სამსახური; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური; სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური“ შპს „თბილსრევის ჯგუფი“</p>			
<p>არსებული მდგომარეობის აღწერა</p>	<p>თბილისის მერიის სისტემაში არსებულ სერვისებთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციებისას გამოიკვეთა თბილისის მერიაში არსებული სერვისების შესახებ ცნობადობის სიმწირე მოსახლეობაში, სერვისების მიწოდებისას ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრებისკენ სვლის საჭიროება და რიგი მწშივნილოვანი შეთავაზებებისა, რომლებიც სწორედ სერვისების გაუმჯობესებას ემსახურება (იხ. ღია მმართველობის თბილისის სამუშაო ჯგუფის ოქმი N3 და საჯარო კონსულტაციების ოქმები, განსაკუთრებით 31.07.18, 01.08.18, 06.08.18 და 07.08.18-ის ოქმები).</p>			
<p>მთავარი მიზანი</p>	<p>სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ცნობადობის არსებითი ზრდა, რაც ხელს შეუწყობს სერვისებით მარტივ, სრულყოფილ სარგებლობას და გარკვეულწილად გააუმჯობესებს მოქალაქის ცხოვრების დონეს. ონლაინ-სერვისების დანერგვა და მეტი ინფორმირებულობის ბაზაზე დამატებითი საფუძვლის შექმნა სერვისების უფრო ეფექტური გაუმჯობესებისთვის, როგორც გაზრდილი ცნობადობის ისე სერვისებზე საზოგადოების გაზრდილი შემხებლობისა და ეფექტური უკუკავშირის შესაძლებლობის შექმნით.</p>			
<p>OGP პრინციპები</p>	<p>გამჭვირვალ ობა, წვდომა ინფორმაციაზე</p>	<p>ანგა რიშვალდებ ულება</p>	<p>სამოქ ალაქო ჩართულობა</p>	<p>ტექნ ოლოგია და ინოვაცია ლიაობისა და ანგარიშვალდ ებულებისთვ ის</p>
<p>განხორციელების ეტაპები</p>	<p>დაწყების თარიღი:</p>		<p>დასრულების თარიღი:</p>	
<p>გარემოს დაცვის, ზედამხედველობის, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში არსებული საქმის წართეების ბიზნეს პროცესების აღწერა - დოკუმენტირება</p>	<p>15.03.2019</p>		<p>30.04.2019</p>	
<p>განცხადების სახეობების რანგირება და მოძრაობების (დამუშავების) განსაზღვრა. შიდა ბიზნეს პროცესების დამუშავების პანელი - თანამშრომლის გვერდი.</p>	<p>01.05.2019</p>		<p>30.06.2019</p>	
<p>ერთიანი სერვისების საჯარო პლატფორმის შექმნა. მოქალაქის მხრიდან უკუკავშირის საშუალებების</p>	<p>01.07.2019</p>		<p>30.11.2019</p>	

შექმნა. მუნიციპალიტეტში მოქალაქის პირადი გვერდის (რომელიც ასევე ინტეგრირებულია სხვა ვალდებულებებით გათვალისწინებულ ფუნქციონალზე). მათი დანერგვა.		
სისტემის მხარდამჭერი სამართლებრივი აქტის შემუშავება, დამტკიცება.	01.06.2019	30.07.2019
მერიის თანამშრომელთა ტრენინგი	01.09.2019	30.10.2019
პორტალისა და OGP-ს ფარგლებში არსებული სხვა ვალდებულებების შესახებ ერთიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის, მას-მედიის თუ მერიის ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით გავრცელება.	01.11.2019	28.02.2020
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> - შექმნილია და დანერგილია ელ-პორტალი, სრულად მოიცავს აღწერილობით ნაწილში ნახსენებ ფუნქციონალებს. - გაწერილია პორტალის ფუნქციონირების მხარდამჭერი რეგულაციები. - მექანიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლებისთვის თბილისის მერიის ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის შესაბამისად წარმოებულია საინფორმაციო პოლიტიკა ქალაქის მასშტაბით (საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ეფექტური ტექნოლოგიის გამოყენებით). 	
რისკები და ვარაუდები	შესაძლო პირველადი ხარვეზები ახლად დანერგილი სისტემის მუშაობაში.	

ვალდებულება IV:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის სტრატეგია

ვალდებულების აღწერა

1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები

მსოფლიოს მასშტაბით, კორუფცია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მოსახლეობის უსაფრთხოებას, სტაბილურობასა და კეთილდღეობას, ანგრევს სახელმწიფო ინსტიტუტებს, ძირს უთხრის დემოკრატიულ ღირებულებებს, სამართლიანობასა და ქვეყნის მდგრად განვითარებას.

სამართლის უზენაესობა, კეთილსინდისიერება, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა დემოკრატიული მმართველობის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად.

წლების მანძილზე გატარებული რეფორმების შედეგად საქართველო წარმოადგენს კორუფციასთან ბრძოლის წარმატებულ მაგალითს, რაც პერმანენტულად აღინიშნება სხვადასხვა წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტი-კორუფციული ქსელის სამოქმედო გეგმის მეოთხე მონიტორინგის ანგარიშში, რომელიც 2016 წელს გამოქვეყნდა, მაღალ დონეზეა შეფასებული საქართველოს მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მიღწეული პროგრესი. ამავდროულად რიგ სხვა მნიშვნელოვან რეკომენდაციებთან ერთად, OECD-ი ურჩევს საქართველოს, რომ ანტიკორუფციული ძალისხმევა განუხრელად გაგრძელდეს ადგილობრივ დონეზე.

OECD-ის რეკომენდაციის მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოხდეს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი ეფექტიანი განხორციელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ყოველწლიურად დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრებს განკარგავს. საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად, გამჭვირვალედ და კეთილსინდისიერად გამოყენება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

დღესდღეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც გაანალიზებდა გამჭვირვალედ და კეთილსინდისიერი მმართველობის წინაშე არსებულ გამოწვევებს/საფრთხეებს, დაადგენდა მათი გადაჭრის გზებს და

განსაზღვრავდა გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის არსებული სტანდარტების განმტკიცებისთვის განსახორციელებელ ქმედებებს.

ქალაქ თბილისის მერიაში დემოკრატიული მართველობის არსებული პრაქტიკის მიუხედავად, მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობისთვის საჭირო სტრატეგიული ჩარჩოს შექმნა.

2. ვალდებულების შინაარსის აღწერა

OECD-ის რეკომენდაციების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავებს კეთილსინდისიერების და გამჭვირვალეობის ამაღლების საშუალო ვადიან სტრატეგიას.

აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის და მის სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტებისთვის გაიწერება კეთილსინდისიერების და გამჭვირვალეობის სტანდარტები, ხოლო ამ სტანდარტების დანერგვის მიზნით, შემუშავდება სამოქმედო გეგმა, შესრულების ინდიკატორები და მონიტორინგის ჩარჩო.

3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილსინდისიერების და გამჭვირვალეობის მაღალი დონე უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების კიდევ უფრო მიზნობრივ და ეფექტურ ხარჯვას რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება დედაქალაქის თითოეულ მოსახლეზე.

4. დანართი N 4

შესრულების ვადა 2019წ

ვალდებულება N4: კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის განმტკიცება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში	
შემსრულებელი დაწესებულება	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (USAID)
არსებული დამართების აღწერა	დღესდღეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნებოდა კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის სტანდარტები. დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დანერგვის მიზნით გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, აუცილებელია შესაბამისი სტრატეგიული ჩარჩოს შექმნა, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის

	განმტკიცებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.			
მთავარი მიზანი	გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში			
OGP გამოწვევა	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა			
OGP ღირებულება	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა	ტექნოლოგია და ინოვაცია
	✓	✓	✓	
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	
კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის შესახებ სიტუაციური ანალიზის მომზადება	ახალი	01.01.2019	30.03.2019	
კეთილსინდისიერების და გამჭვირვალეობის ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსიის მომზადება	ახალი	30.03.2019	30.05.2019	
კეთილსინდისიერების და გამჭვირვალეობის ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პირველადი ვარიანტების საჯარო განხილვები	ახალი	30.05.2019	30.07.2019	
კეთილსინდისიერების და გამჭვირვალეობის ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის, შესრულების ინდიკატორების და მონიტორინგის ჩარჩოს საბოლოო ვერსიის შემუშავება	ახალი	30.07.2019	30.09.2019	
კეთილსინდისიერების და გამჭვირვალეობის ამაღლების სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის, შესრულების ინდიკატორების და მონიტორინგის ჩარჩოს დამტკიცება	ახალი	30.09.2019	30.11.2019	
ინდიკატორი	გამჭვირვალეობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის; შესაბამისი სამოქმედო გეგმა, შესრულების ინდიკატორები და მონიტორინგის ჩარჩო შემუშავებული და დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ.			
რისკები და ვარაუდები				

ვალდებულება N5

თბილისის მერიაში გამჭვირვალობის ხარისხის განვითარება ელექტრონული მექანიზმების მეშვეობით

ვალდებულების აღწერა

1. ადგილობრივი კონტექსტი და საჭიროებები

წლების მანძილზე თბილისის მერიის საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხი ეტაპობრივად იზრდებოდა, რაც განპირობებული იყო საზოგადოების მოთხოვნით მერიის საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდის საჭიროების შესახებ. სამოქალაქო საზოგადოება, ჟურნალისტები და დაინტერესებული პირები მოითხოვდნენ მეტად მისცემოდათ შესაძლებლობა თვალი ედევნებინათ და შეეფასებინათ მერიის საქმიანობის ეფექტიანობა.

სწორედ ამიტომ, თბილისის მერიის გამჭვირვალობის ზრდის ხელშეწყობისთვის, მიზნად დავისახეთ მუნიციპალიტეტის ელექტრონული რესურსების გაუმჯობესება, ღია მონაცემების ბაზის შექმნა, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხისა და სიმარტივის გაზრდა.

2. ვალდებულების შინაარსის აღწერა

ვალდებულებაში ინტეგრირებულია სამი მიმართულება, რომლებიც მიზნად ისახავს თბილისის მერიაში ელ-გამჭვირვალობის განვითარებას და ღია მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. კერძოდ, ვალდებულება ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

2.1 თბილისის მერიის პორტალის განახლება IDFI-ის მიერ მომზადებული კონცეფციის გათვალისწინებით

განახლება თბილისის მერიის ვებ-გვერდის ფორმატი, რათა მომხმარებელთათვის ის უფრო მარტივად გამოყენებადი და ინფორმატიული გახდეს. აღნიშნულისთვის ზუსტი ტექნიკური დავალება და შესაბამისად განსახორციელებელი ტექნიკური ცვლილებების ჩამონათვალი განისაზღვრება დანართი N5-ის შესაბამისად ტექნიკური დავალების შედგენისთვის გამოყოფილ ვადაში. თბილისის მერიის ვებ-გვერდის განახლებულ ვერსიაში, ნავიგაციის თუ მომხმარებლის მიერ გამოყენების სიმარტივის ზრდის გარდა, ყურადღება მიექცევა ქალაქის გამგეობების ინდივიდუალური გვერდების ამოქმედებას. გარდა გამგეობების ინდივიდუალური გვერდებისა მერიის ვებ-გვერდს დაემატება მისი დაქვემდებარებული

ყველა სუბიექტის ჩამონათვალი, მათი საკონტაქტო და სხვა საბაზისო მონაცემები (ფუნქცია, ხელმძღვანელი, სამართლებრივი ფორმა და ა.შ.).

2.2 საჯარო ინფორმაციის გვერდის ახალი ვერსიის შემუშავება

საჯარო ინფორმაციის გვერდი მოიცავს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პორტალს და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ელექტრონულ საშუალებას. პროაქტიული გამოქვეყნება ღია მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და ინდიკატორია. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2017 წლის ეროვნული შეფასების მიხედვით, თბილისის მუნიციპალიტეტის მაჩვენებელმა მხოლოდ 35% შეადგინა (იხილეთ <http://www.lsgindex.org/ge/outcome/view/1/>). მიუხედავად, იმისა, რომ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე შექმნილია შესაბამისი განყოფილება, საჭირო გახდა მისი განახლება, რადგან არსებული მოდული საკმაოდ რთულია ნავიგაციისთვის. გარდა, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა, კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ქვესაკითხს წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული საშუალების დანერგვა.

IDFI-ის მიერ შემუშავებული კონცეფცია წარმატებით დაინერგა სხვა თვითმმართველობების ვებ-გვერდებზე, მათ შორის ქუთაისის, ზუგდიდის ვებ-გვერდებსა და საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე. სხვადასხვა მუნიციპალიტეტის და საჯარო დაწესებულების მსგავსად, თბილისის მერიაში მოხდება საჯარო ინფორმაციის გვერდის მოდიფიკაცია, უკვე არსებული გამოცდილების გათვალისწინებით.

2.3 თბილისის მერიის ღია მონაცემების გვერდის შექმნა

ღია მონაცემების (OpenData) კონცეფციას განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც ღია მმართველობაში, ისე ელექტრონული მთავრობის თანამედროვე მოდელებში. ამავე დროს, ღია მონაცემების კონცეფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს ღია მონაცემების პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სექტორის მონაცემების გამოქვეყნებას ღია, დამუშავებად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფორმატებში, რაც მოქალაქეებს, ბიზნესს, მასმედიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული მონაცემებით, მათი გამოყენებით შექმნან აპლიკაციები და ელექტრონული სერვისები და მიიღონ სხვა სახის სარგებელი. ამ კონცეფციის განხორციელების თვალსაჩინო მაგალითებია ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის მიერ შექმნილი ღია მონაცემთა პლატფორმა www.data.gov, დიდი ბრიტანეთის ღია მონაცემთა პორტალი www.data.gov.uk, ევროკავშირის ქვეყნების ღია მონაცემთა ერთიანი პლატფორმა open-data.europa.eu. ამავე მიზნით, 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ შეიქმნა ღია მონაცემთა პორტალი www.data.gov.ge. 2018 წელს ღია მონაცემების პორტალი

ასევე შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერაც - <http://datalab.ge>. სქართველოს პარლამენტმა ასევე შექმნა ღია მონაცემების გვერდი IDFI-ისთან თანამშრომლობით - <https://info.parliament.ge/open-data/>). OGP-ის სამოქმედო გეგმების ფარგლებში მსგავსი პორტალები შექმნეს თვითმმართველობის საპილოტე პროგრამის წევრმა და სხვა ქალაქებმაც, მაგ: ოსტინის პორტალი - <https://data.austintexas.gov> და ვაშინგტონის პორტალი - <https://data.wa.gov/>. შესაბამისად, მოხდება თბილისის მერიის ღია მონაცემების გვერდის შემუშავება, თბილისის მერიის პორტალის კონცეფციის ფარგლებში მომზადებული მოდელის გათვალისწინებით.

3. დადებითი ეფექტი მოქალაქეებისთვის

ვალდებულების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდას და მოქალაქეებისთვის შექმნის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფრო სრულყოფილ მექანიზმებს. გარდა ამისა, დამუშავებად (ღია მონაცემების) ფორმატში ხელმისაწვდომი ინფორმაცია ხელს შეუწყობს როგორც სამოქალაქო კონტროლის განვითარებას, ისე თბილისის მუნიციპალიტეტის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოყენებას ინოვაციების, ტექნოლოგიების და კვლევითი მიზნებისთვის.

4. დანართი №5

განხორციელების ვადა: 2019 წ.

ვალდებულება5:სერვისების სამოქალაქო კონტროლისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმების დანერგვა	
შემსრულებელი დაწესებულება	ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“
არსებული მდგომარეობის აღწერა	არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით გამოიკვეთა თბილისის მერიის ელ-გამჭვირვალობის მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არსებობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ინსტრუმენტები, საჭიროა მათი განახლება, რაც რთულად მართვადი სტრუქტურის გათვალისწინებით სისტემის სრულ გამოყენებას უშლის ხელს. საჯარო ინფორმაციის გვერდი საჭიროებს სტრუქტურულ განახლებას, რადგან არსებული მოდული არ არის სათანადოდ მოქნილი ინფორმაციის მარტივად მოძიებისთვის. ამასთანავე, თბილისის მერიაში არ არსებობს ღია მონაცემების მოდულები, რაც ართულებს დამუშავებადი ინფორმაციის სათანადო მოპოვებას.

მთავარი მიზანი	ელექტრონული გამჭვირვალობის მექანიზმების გაუმჯობესება, მოქალაქეებისთვის უფრო ხარისხიანი და სრულყოფილი ინფორმაცია (მათ შორის ღია მონაცემების) მიწოდებისათვის.			
OGP პრინციპები	გამჭვირვალ ობა, წვდომა ინფორმაციაზე	ანგარიშვა ლდებულება	სამო ქალაქო ჩართულობა	ტექნო ლოგია და ინოვაცია ლიაობისა და ანგარიშვალდე ბულებისთვის
	✓	✓		✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	
თბილისის მერიისთვის შეთავაზებულ კონცეფციაზე დაყრდნობით პორტალის განახლებისათვის საჭირო ტექნიკური დავალების შემუშავება;	ახალი	12.2018	02.2019	
საჯარო ინფორმაციის გვერდის კონცეფციის ინტეგრირება თბილისის მერიის პორტალის ტექნიკურ დავალებაში;	ახალი	12.2018	02.2019	
ტექნიკური დავალების მიხედვით თბილისის მერიის პორტალზე ახალი ფუნქციონალის დამატება;	ახალი	03.2019	07.2019	
თბილისის მერიის განახლებულ პორტალზე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების განახლებული საშუალების საპილოტე რეჟიმში ამოქმედება და მისი საშუალებით ინფორმაციის განთავსება;	ახალი	07.2019	09.2019	
ღია მონაცემების პორტალის კონცეფციის მოდიფიკაცია და ტექნიკური დავალების მომზადება;	ახალი	02.2019	04.2019	
თბილისის მერიის ღია მონაცემთა პორტალის შექმნა და მისი საპილოტე რეჟიმში ამოქმედება	ახალი	05.2019	08.2019	
ღია მონაცემთა პორტალზე ინფორმაციის განთავსება;	ახალი	09.2019	12.2019	
საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის მექანიზმის პილოტირება და ამოქმედება.	ახალი	09.2019	12.2019	

<p>ინდიკატორი</p>	<ul style="list-style-type: none"> - IDFI-ს მიერ წარმოდგენილი კონცეფციის გათვალისწინებით შექმნილია თბილისის მერიის პორტალის განახლების ტექნიკური დავალება; - თბილისის მერიის ახალი პორტალი ამოქმედებულია და მასზე რეგულარულად ხდება ინფორმაციის განახლება; - მერიის პორტალში ინტეგრირებულია საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ახალი გვერდი და ინფორმაცია რეგულარულად ქვეყნდება ახალ მოდულზე; - მერიის პორტალში ინტეგრირებულია საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის მექანიზმი - შექმნილია თბილისის მერიის ღია მონაცემთა პორტალი და მასზე რეგულარულად ხდება ინფორმაციის განთავსება/განახლება.
<p>რისკები და ვარაუდები</p>	<p>შესაძლო პირველადი ხარვეზები ახლად დანერგილი სისტემის მუშაობაში.</p>

სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთეულები

1. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877);
2. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური;
3. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური;
4. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია;
5. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური;
6. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული განვითარების საქალაქო სამსახური;
7. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური;
8. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური;
9. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია;
10. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები;
11. სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური“;
12. შპს „თბილისრევის ჯგუფი“ (ს/ნ 206267494);
13. ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877)